სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია

მინერალური რესურსების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF MINERAL RESOURCES

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია

საქართველოში არსებული სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სახეობებია:

- **საწვავი და ენერგორესურსები**
- **ლითონები (შავი, ფერადი და კეთილშობილი)**
- **სამთო-ქიმიური ნედლეული**
- **არამადნეული ნედლეული, მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულის ჩათვლით**
- **საიუველირო ნახევრად ძვირფასი და სანაკეთობო ქვები**
- **საშენი მასალები**
- **სამკურნალო ტალახი**
- **მიწისქვეშა წყლები (მტკნარი, თერმული და მინერალური)**
- **სამთამადნო საწარმოთა გამდიდრების კუდები და ტექნოგენური ნარჩენები**

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია

სათათბირო ორგანო

კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცება ხდება მთავრობის დადგენილებით

ფუნქციები

- ყველა სახის სასარგებლო წიაღისეულის (ნავთობისა და გაზის გარდა) მარაგების გამოთვლისთვის მოპოვებული გეოლოგიური ინფორმაციის შემოწმება.
- მარაგების დამტკიცების/ ჩამოწერის მიზნით, დასკვნის შემუშავება.
- სასარგებლო წიაღისეულის შესწავლილი საბადოების, აგრეთვე მათი დამუშავების პროცესში დამატებით გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცება და სახელმწიფო ბალანსზე აყვანა.

კომისიის სამუშაო მიმართულება მოიცავს შემდეგ წიაღისეული რესურსებს: სამშენებლო მასალები, შავი და ფერადი ლითონები, მიწისქვეშა მინერალური, სამთო-ქიმიური, მტკნარი და თერმული წყლები, CO2, ვულკანური ტალახი და სხვ.

კომისიის მიერ მარაგების დამტკიცება ხდება ობიექტის გეოლოგიური კვლევების შედეგად შედგენილი ანგარიშის განხილვის შემდეგ.

კომისიის ფუნქციები და უფლებამოსილებები

კომისიის ფუნქციაა განიხილოს და შეაფასოს:

- ❖ ლიცენზიის მფლობელის მიერ წარდგენილი, ლიცენზირებულ ტერიტორიაზე დაძიებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების რაოდენობა, საბადოს გეოლოგიური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ინფორმაცია
- ❖ საბადოს მარაგების შესასწავლად (დეტალური ძიება) და მათ საანგარიშოდ (გამოთვლის პროცესი) გამოყენებული მეთოდები და ხერხები;
- ❖ წარდგენილი ანგარიშის საძიებო მეთოდების შერჩევის სისწორე, მონაცემთა მოპოვების, მათი გაანალიზების, შესწავლის და განზოგადების შედეგების სისრულე და ლიცენზიანტის მიერ გამოტანილი დასკვნის ადექვატურობა;
- ❖ მარაგების კატეგორიების შესაბამისობა და სანდოობა, შესწავლილი საბადოს სირთულის ჯგუფთან;
- ❖ წარდგენილი გეოლოგიური ანგარიშის შესაბამისობა მთავრობის დადგენილებასთან და კომპეტენტურობა;
- ❖ ცალკეულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია, მიიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები, დასამტკიცებლად/ჩამოსაწერად წარდგენილი ანგარიშის შესახებ საექპერტო დასკვნის მომზადებისათვის.

უწყებათაშორისი კომისიის მართვა

კომისია შედგება **16** წევრისგან



- კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე
- კომისიის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე
- კომისიას ჰყავს მდივანი

კომისიის დანარჩენი წევრები არიან

- საქთველოს ეკონომიკისია და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები
- სსიპ – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი
- გეოლოგიისა და გეოფიზიკის დარგში საქართველოში წამყვანი აკადემიური წრის წარმომადგენლები (ექსპერტები).

კომისიის მუშაობის სპეციფიკა და შეთანხმება საბოლოო გადაწყვეტილებაზე

- კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით, რომელთა რაოდენობა შეზღუდული არ არის.
- კომისიის სამუშაო სხდომამდე არა უგვიანეს 10 დღით ადრე, კომისიის მდივანი კომისიის წევრებს უგზავნის ანგარიშს, ასევე აწვდის ინფორმაციას სხდომის მოწვევის თარიღის და დღის წესრიგის შესახებ.
- კომისიის დასკვნა ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით. კომისია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების/ჩამოწერის თაობაზე დასკვნას შეიმუშავებს გათვალისწინებული ინფორმაციის სრულად წარდგენიდან სამი თვის ვადაში.
- კომისიის სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილების მიღება ხდება სხდომის მონაწილე წევრთა ხმების უმრავლესობით.
- ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
- კომისიის დადებითი დასკვნა არის წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო ბალანსზე აყვანის/ჩამოწერის ერთადერთი საფუძველი.

ანგარიშის წარმოდგენის სპეციფიკა

- სასარგებლო წიაღისეულის რესურსების ანგარიში კომისიის მდივნის მიერ გადამოწმდება დამატებითი კვლევების არსებობაზე და ამის შემდეგ წარედგინება კომისიას განსახილველად.

- მადნეულ საბადოებზე მარაგების დამტკიცების მიზნით ანგარიშის წარდგენისას ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, დაიცვას Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსით ან სხვა საერთაშორისო სტანდარტ(ებ)ით განსაზღვრული მოთხოვნები.

- კომისიისთვის წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ლიცენზიის მფლობელი.

- აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიას შეუძლია ლიცენზიის მფლობელს მოსთხოვოს, დამატებით ჩაატაროს და კომისიას წარუდგინოს გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევის მასალები, რომლებიც საჭიროა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების, ტიპის, ხარისხისა და თანმდევი კომპონენტების დასადგენად.

კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოს პროცესი

1. კომისიის მდივანი ამოწმებს შემოსული ანგარიშების შესაბამისობას დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან

2. მოთხოვნებთან შესაბამისი ანგარიშები განხილვამდე **10** დღით ადრე ეგზავნება კომისიის წევრებს

3. კომისია სამუშაო სხდომაზე განიხილავს ანგარიშებს

4. კომპანიებს გადასცემენ გამოთქმულ შენიშვნებს და რეკომენდაციებს, ასევე განუსაზღვრავენ გამოსწორების ვადას

9. დამტკიცებული მარაგები და ოქმი გადაეცემა ლიცენზიის მფლობელს

5. ლიცენზიის მფლობელი კომისიასთან წარადგენს კორექტირებულ ანგარიშს, რომელსიც განიხილება პლენარულ სხდომაზე

6. არსებულ ანგარიშს განიხილავს კომისია და კენჭისყრის მეშვეობით ადასტურებს ან უარყობს წარდგენილ მარაგებს

7. **14** დღეში კომისიის მდივანი ადგენს კომისიის სხდომის ოქმს და წარუდგენს სააგენტოს უფროსს

8. სააგენტოს უფროსის ბრძანებით მტკიცდება მარაგები, რომლის საფუძველზე ხდება მარაგების სახელმწიფო ბალანსზე აყვანა ან ჩამოწერა

ანგარიშების საჯაროობა

- წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც შეეხება <u>წიაღის შესახებ ინფორმაციის საკუთრების უფლებას,</u> განმარტებულია, რომ ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ, წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია.
- ასევე, შესაძლებელია წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიური ან სხვა სახის ინფორმაციის გაყიდვა ან შესყიდვა.
- **დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.**



შპს „აიდიეს ბორჯომი ბეკერეჯიზ კომპანი“

საკციო საზოგადოება
ჰიდროგეოლოგიური და გეოეკოლოგიური კომპანია „ჰიდეკი“
სს „ჰიდეკი“

ეგზ. №____
სახ. რეგისტრაციის №

ვამტკიცებ
აიდიეს ბორჯომი ბეკერეჯიზ,
შპს "აიდიეს ბორჯომი ბეკერეჯიზ
კომპანიან"-ს საქართველოს ტერიტორიაზე
გენერალური დირექტორი
ი. ბაბავარიანი
"_____" _____ 2022 წ.

სს „ჰიდეკის“ -
გენერალური დირექტორი,
პროფესორი
ბ. ბორჯგვლი
_____ 2022 წ.

ანგარიშის ავტორები:
ბ. ბორჯგვლი
ი. სეკერინა
გ. ერშოვი
თ. კორიშინაძე
ნ. ზაუტამკილი

ჰიდროგეოლოგიური ანგარიში

ბორჯომის მუნიციპალიტეტში
ს. ზანავის მიმდებარე ტერიტორიაზე ზანავის მინერალური
წყლის საექსპლუატაციო მარაგების გადაფასების შესახებ

01.11.2021 წ. მდგომარეობით

2 წიგნი, 1 ხელადადე

წიგნი 1

ტექსტი

თბილისი 2022 წ.

განხილული ანგარიშების სტატისტიკა

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო კომისიის მიერ 2020 წლიდან დღემდე სულ განხილულია 72 ანგარიში, კერძოდ:

- **2021 წლის განმავლობაში კომისიამ განიხილა 30 ანგარიში, საიდანაც მოხდა 25 ანგარიშის დამტკიცება, ხოლო დანარჩენი ანგარიშები დაუბრუნდა უკან წარმომდგენს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.**
- **2022 წლის მონაცემებით კომისიამ 24 ანგარიში განიხილა, საიდანაც 18 ანგარიში დამტკიცდა, 6 დაუბრუნდა უკან წარმომდგენს.**
- **2023 წლის 8 თვის მონაცემებით კომისიის მიერ განხილულია 18 ანგარიში, საიდანაც 14 მათგანი დამტკიცდა, 4 ანგარიში დაბრუნდა წარმომდგენთან.**



წყარო: სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

მინერალური რესურსების
ეროვნული სააგენტო

მადლობა ყურადღებისთვის!